

**ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო
საინჟინრო კორპორაციის საქართველოს
ფილიალი**

**ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის**

სრული შემოსავლის ანგარიშგება (ხელმოწერილი)	3
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები	7
შეფასების საფუძვლები	7
საქმიანობის უწყვეტობა.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
5. ძირითადი საშუალებები.....	13
6. საგადასახადო აქტივი	14
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14
10. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	14
11. შესყიდული მომსახურებები	14
12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	15
13. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან.....	15

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი


სრული შემოსავლის ანგარიშგება (ხელმოწერილი)

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები		10,571,867	-
სულ შემოსავალი		10,571,867	-
შესყიდული მომსახურებები	11	(5,647,877)	-
შესყიდული მასალები		(20,230,197)	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	(9,161,387)	(523,236)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(6,867,819)	(253,689)
საპროცენტო შემოსავალი		309,307	211,812
იჯარის ხარჯი		(843,958)	(73,361)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(3,706,519)	(868,178)
საოპერაციო ზარალი		(35,576,583)	(1,506,652)
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		216,642	251
კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა	13	3,053,911	(1,794,761)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		(32,306,030)	(3,301,162)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 27 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

  ჩანგ ქინგ

7-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	01 იანვარი 2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	23,193,127	5,178,373	-
სხვა არამატერიალური აქტივები		1,322,017	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		24,515,144	5,178,373	-
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		-	-	-
საგადასახადო აქტივი	6	-	707,145	-
გადახდილი ავანსები	7	12,268,363	807,202	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	948,795	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები	8	10,586,145	50,969,039	-
სულ მიმდინარე აქტივები		23,803,303	52,483,386	-
სულ აქტივები		48,318,447	57,661,760	-
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		(35,607,193)	(3,301,162)	-
სულ კაპიტალი		(35,607,193)	(3,301,162)	-
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	6	143,549	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	9	23,684,543	865,374	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი	9	60,097,548	60,097,548	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		83,925,640	60,962,922	-
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		48,318,447	57,661,760	-

7-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს
ფილიალი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	-	-	-
წლის მთლიანი სრული მოგება/ (ზარალი)	-	(3,301,162)	(3,301,162)
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(3,301,162)	(3,301,162)
წლის მთლიანი სრული მოგება/ (ზარალი)	-	(32,306,030)	(32,306,030)
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	-	(35,607,193)	(35,607,193)

7-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები		13,278,295	70,915,106
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები		(47,410,992)	(1,933,534)
სხვა გადახდილი ფულადი სახსრები		7,120,208	(12,577,323)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		(27,012,488)	56,404,249
გადახდილი მოგების გადასახადი		-	-
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		(27,012,488)	56,404,249
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(13,679,712)	(5,559,808)
მიღებული პროცენტი		309,307	124,598
საინვესტიციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		(13,370,406)	(5,435,210)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
გაცემული სესხები		-	-
გაცემული სესხიდან მიღებული თანხები		-	-
ფინანსური საქმიანობიდან გასული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა		(40,382,894)	50,969,039
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის		50,969,039	-
ფულადი სახსრები წლის ბოლოსთვის		10,586,145	50,969,039

7-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2019 წლის 11 სექტემბერს, საქართველოში, ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით: 426539178. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. რუსთავი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N9.

კომპანია ახორციელებს E-60 ავტომაგისტრალის, ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთის (კმ 0.0 - კმ 11.6) განახლების სამშენებლო სამუშაოებს აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან 2019 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე,

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 3 (სამი) გვირაბის მშენებლობა, 17 (ჩვიდმეტი) ახალი ხიდის მოწყობა და 5 (ხუთი) არსებული ხიდის რეაბილიტაცია, 53 (ორმოცდაცამეტი) მართკუთხა კულვერტის მოწყობა და 2 სატრანსპორტო კვანძის მოწყობა. გზის მარცხენა განშტოების საერთო სიგრძე 11.6 კილომეტრია, რომელიც იწყება N3 გვირაბის ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და მთავრდება ხევში. გზის მარჯვენა განშტოების სამუშაოები არსებული რიკოთის გვირაბის ჩრდილო-დასავლეთის შესასვლელთან იწყება და ხევის მიმართულებით დაახლოებით 8.6 კმ-ზე გრძელდება.

პროექტი დაფინანსებულია ევროპის საინვესტიო და მსოფლიო ბანკის მიერ. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 36 თვე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაცია, 911100007109351850 /ჩინეთი/.

2. მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის ფუნქციური ვალუტა. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

მომზადების საფუძველების შესაბამისობის განსაზღვრისას კომპანიის მენეჯმენტმა გაითვალისწინა კოვიდ-19-ის პანდემიის გავლენა კომპანიის მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის სამომავლო ოპერაციებზე. მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19-ით გამოწვეული საფრთხე პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. ვირუსის გავრცელება და სახელმწიფოების რეაგირება, რომელიც მიმართულია პანდემიურ სიტუაციასთან გამკლავებისკენ, გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ეკონომიკასა და ბიზნეს-ოპერაციების განხორციელებაზე. პანდემიის გავლენა განსხვავდება სხვადასხვა ინდუსტრიების მიხედვით. პანდემიას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე მიუხედავად იმისა, რომ ჰქონდა გავლენა ოპერაციებზე, ფულად ნაკადებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტსა და აქციონერებს

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

განზრახული აქვთ კომპანიის ბიზნესის შემდგომი განვითარება საქართველოში. შედეგად, მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად და კომპანია აპირებს გააგრძელოს საქმიანობა პროგნოზირებად მომავალში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავლისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი საგადასახადო ავანსი და გადასახდელი გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, 2016 წელის 1 იანვრიდან, კომპანია იხდის ყველა გადასახადს საქართველოს უნიფიცირებულ სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანია წარმოადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგაქვითვის გზით, როგორც აქტივის ან ვალდებულებას.

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება მოიცავს მის:

(ა) შესყიდვის ფასს, მათ შორის საბაჟო გადასახადს და ანაზღაურებად შესყიდვის გადასახადს, სავაჭრო ფასდაკლებებისა და ფასდათმობების გამოქვითვის შემდეგ;

(ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რაც აუცილებელია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სახით აქტივის მოხმარებისთვის საჭირო ადგილზე განთავსებისა და საჭირო მდგომარეობაში მოყვანისთვის;

(გ) აქტივის დემონტაჟის, გატანისა და ტერიტორიის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას; და

(დ) მოვალეობას, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის მიერ აქტივის შეძენის შემდეგ ან გარკვეულ პერიოდში აქტივის მარაგის წარმოების გარდა სხვა მიზნით გამოყენების შედეგად.

შემდეგ კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს იმ გაუმჯობესებებსა და ჩანაცვლებებზე გაწეულ დანახარჯებს, რომლებიც ზრდიან აქტივების მომსახურების ვადას ან მათ მიერ ამონაგების წარმოქმნის შესაძლებლობას.

ცვეთადი ღრებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. ადრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს, რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის. თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი მაშინვე მოგება-ზარალში აღიარდება.

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულიყო გასულ წლებში. გაუფასურების ზარალის ანულირება მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარ ცვლილებას ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რენევსტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს;
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი, რომელიც მიიღება ტრანზაქციათა განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასება წლის ბოლოს არ ეხება არაფულად მუხლებს კაპიტალში ინვესტიციების ჩათვლით. ფასიანი ქაღალდების გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული რეალური ღირებულების ცვლის ეფექტი აღიარდება, როგორც რეალური ღირებულების ცვლილებისას მიღებული შემოსავლის ან ხარჯის ნაწილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2020, 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრისთვის არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხი არის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადა ან ოდენობა განუსაზღვრელია. ვალდებულება არის წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად წარმოშობილი მიმდინარე მოვალეობა, რომლის დასაფარავად საჭიროა ეკონომიკურ სარგებელში განიცთებული რესურსების საწარმოოდან გასვლა. ვალდებულების წამომქმნელი მოვლენა არის ისეთი მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიამ უპირობოდ უნდა დაფაროს ვალდებულება. იურიდიული ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება შემდეგი ფაქტორებიდან:

- ხელშეკრულება (ყველა პირობის გათვალისწინებით, მათ შორის, ზეპირი);
- კანონმდებლობა; ან
- სხვა კანონიერი ქმედება

კონსტრუქციული ვალდებულება წარმოიქმნება კომპანიის ქმედებებიდან, რაც გულისხმობს შემდეგს:

- წარსული პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების შედეგად, გამოქვეყნებული პოლიტიკით ან საკმაოდ სპეციფიკური მიმდინარე განაცხადით, კომპანიის სხვა მხარეებს მიუთითებს, რომ ის აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და შედეგად, კომპანია აღნიშნულ სხვა მხარეებს უქმნის სამართლიან მოლოდინს, რომ იგი შეასრულებს აღებულ ვალდებულებებს.

ტერმინი “პირობითი ვალდებულება” გამოიყენება ვალდებულებებისათვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ აღიარების კრიტერიუმებს.

სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყოფს შემდეგ კატეგორიებს:

- ანარიცხები - რომლებიც აღიარდება, როგორც ვალდებულება (იმ პირობით, რომ შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება), რადგან ისინი წარმოადგენენ მიმდინარე მოვალეობას და მოსალოდნელია, რომ მათ დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განიცთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა; და

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- პირობითი ვალდებულებები - რომლებიც არ აღიარდება, როგორც ვალდებულება, რადგან წარმოადგენს, ან:
 - შესაძლო მოვალეობებს, რადგან ჯერ კიდევ არაა დადასტურებული, გააჩნია თუ არა კომპანიას მიმდინარე მოვალეობა, რომლის შესრულება გამოიწვევს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლას; ან
 - მიმდინარე მოვალეობებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს (რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ან შეუძლებელა ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება).

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი ვალდებულებები შეიძლება განვითარდეს თავდაპირველად მოსალოდნელისგან განსხვავებული სახით. ამიტომ ისინი ფასდება მუდმივად, რათა განისაზღვროს, ხომ არაა აუცილებელი ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა. იმ შემთხვევაში, თუ იმ ვალდებულების დასაფარად, რომელიც განიხილებოდა პირობით ვალდებულებად, საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების კომპანიიდან გასვლა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხი იმ პერიოდში, როდესაც ასეთ ცვლილებას ექნება ადგილი (გარდა განსაკუთრებულად იშვიათი შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია).

პირობითი აქტივები არ აისახება ფინანსური ანგარიშგებაში, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოცემულია ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკური სარგებელი აუცილებლად მიიღება, აქტივი და შესაბამისი შემოსავალიც აღიარდება შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში მაშინ, როდესაც შეფასების ცვლილება მოხდა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტორები შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	დაუმთავრებელ ი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილ ობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2018	-	-	-	-	-
შემოსვლა	682,253	4,331,593	254,882	11,810	5,280,538
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	682,253	4,331,593	254,882	11,810	5,280,538
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2018	-	-	-	-	-
წლის ცვეთა	-	(98,203)	(3,494)	(469)	(102,165)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	(98,203)	(3,494)	(469)	(102,165)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2018	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	682,253	4,233,390	251,388	11,342	5,178,373
ისტორიული ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	682,253	4,331,593	254,882	11,810	5,280,538
შემოსვლა	658,725	23,564,501	206,771	42,214	24,472,211
გასვლა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	1,340,978	27,896,094	461,652	54,024	29,752,749
დაგროვილი ცვეთა					
31 დეკემბერი 2019	-	(98,203)	(3,494)	(469)	(102,165)
წლის ცვეთა	-	(6,327,322)	(115,072)	(15,063)	(6,457,457)
გასული აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2020	-	(6,425,525)	(118,565)	(15,532)	(6,559,622)
ნეტო საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2019	682,253	4,233,390	251,388	11,342	5,178,373
31 დეკემბერი 2020	1,340,978	21,470,569	343,087	38,492	23,193,127

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

6. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, კომპანია საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც აქტივი ან ვალდებულება.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	948,795	-
გაცემული ავანსები	12,268,363	807,202
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,217,158	807,202

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ფული საბანკო ანგარიშებზე ქართულ ლარში	1,132,175	5,280,866
ფული საბანკო ანგარიშებზე სხვა ვალუტაში	9,453,970	45,688,173
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	10,586,145	50,969,039

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო ვალდებულებები	23,684,542	865,373
მიღებული ავანსები	60,097,549	60,097,549
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	83,782,091	60,962,922

10. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2020	2019
პირდაპირი ხელფასი	(6,993,682)	(281,182)
თანამშრომელთა სარგებელი	(1,485,344)	(239,756)
საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში	(60,272)	(2,298)
დაზღვევის ხარჯი	(622,089)	-
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(9,161,387)	(523,236)

11. შესყიდული მომსახურებები

	2020
სამშენებლო სამუშაოების ხარჯი	(794,762)
ბურღვითი მომსახურების ხარჯი	(173,552)
დაკალიბრების მომსახურების ხარჯი	(11,890)
შესყიდვის ქსელის მშენებლობის ხარჯები	(470,112)
საკონსულტაციო ხარჯი	(941,134)

ჩინეთის სახელმწიფო შპს სამშენებლო საინჟინრო კორპორაციის საქართველოს ფილიალი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

დიზაინის მომსახურების ხარჯები	(12,412)
FIDIC კონსულტაციის ხარჯები	(45,743)
დროის ზემოქმედების ანალიზთან დაკავშირებული ხარჯები	(58,376)
აფეთქების მონიტორინგის ხარჯები	(60,978)
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ხარჯი	(4,002)
ლაბორატორიული მომსახურების ხარჯი	(3,457)
მომრავლის ორგანიზების სქემების შესრულების ხარჯი	(152,372)
ხე-ტყის გაკავვის ხარჯი	(228,500)
ხიმიკატებით დაკავშირებული ხარჯები	(911,817)
მიწის სამუშაოების ხარჯები	(94,615)
ბეტონის კონსტრუქციის სამუშაოების ხარჯები	(55,839)
ჯგუფური უბედური შემთხვევის დაზღვევის ხარჯები	(116,740)
გეოლოგიური კვლევების ხარჯები	(53,471)
კოვიდ-რეგულაციებთან დაკავშირებული ხარჯები	(1,458,105)
სულ შესყიდული მომსახურებები	(5,647,877)

12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
საბანკო გარანტიის ხარჯი	(1,760,833)	(655,647)
სამეურნეო ხარჯი	(643,426)	(16,712)
ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ხარჯები	-	(10,429)
ელექტროენერგიის ხარჯი	(86,257)	(143)
ტელეფონის ხარჯი	(56,262)	(4,939)
ინტერნეტის ხარჯი	(10,183)	-
დასუფთავების ხარჯი	(222)	(312)
ავტომობილის საექსპლუატაციო ხარჯი	(472,650)	(5,419)
საბანკო ხარჯი	(28,022)	(6,479)
საკანცელარიო ხარჯი	(145,626)	(27,620)
კომპიუტერის ხარჯი	(6,758)	(1,975)
საკონსულტაციო ხარჯი	(123,647)	(17,206)
დაცვის ხარჯი	(84,916)	-
სხვა საგადასახადო ხარჯი	(1,100)	(26,333)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(28,015)	(84,602)
ქონების გადასახადის ხარჯი	(144,716)	(8,877)
წყლის ხარჯი	(5,388)	(714)
დარიცხული საურავი და ჯარიმა	(4,242)	(772)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(104,256)	-
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(3,706,519)	(868,178)

13. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2020	2019
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	12,381,978	207,548
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(9,328,067)	(2,002,308)
სულ წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	3,053,911	(1,794,761)